საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10970/01
20/10/2021

10970-01-2-202110201908

**ინდივიდუალურ მეწარმე გივი დეკანოიძეს**

**მის:** საქართველო, ზესტაფონი ს. პირველი სვირი 23–ე ქ. N 29
**ელ.ფოსტა:** gividek2020@mail.ru

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით თქვენ მიერ 2021 წლის 30 სექტემბერს წარმოდგენილი N17568 განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველის სვირის მიმდებარე ტერიტორიაზე თევზსაშენი ტბორის მოწყობის მიზნით წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ინფორმაცია იმ კონსულტანტის დასახელებისა და <u>იურიდიული მისამართის შესახებ</u>, რომელიც მონაწილეობდა გზშ-ის ანგარიშის მომზადებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში). წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში აღნიშნული ინფორმაცია სრულყოფილად არ არის მოცემული;
- დოკუმენტში წარმოდგენილ ცხრილში (N3 – „საპროექტო ორი ტბორის პარამეტრები“) სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საპროექტო ტბორების ფიზიკური მახასიათებლების შესახებ;
- წარმოდგენილი დოკუმენტის პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ „საპროექტო 2 ტბორის ჯამური ფართობია 42 000 $მ^3$“, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშს დართული shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტბორების ჯამური ფართობი შეადგენს 41940 $მ^2$-ს, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტის შესავალი ნაწილის თანახმად, საპროექტო ტბორებში დაგეგმილია ორი სახეობის თევზის - კობრის და ჩვეულებრივი სქელშუბლას გამოზრდა (გვ. 6, 19), ხოლო გზშ-ის ანგარიშის 31-ე და 114-ე გვერდებზე აღნიშნულია, რომ იგეგმება კობრის, თეთრი ამურისა და ჩვეულებრივი სქელშუბლას მოშენება. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტბორებში გამოსაზრდელი თევზის სახეობები;
- წარმოდგენილი მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ არხი, რომლის გაწმენდა დაგეგმილია საპროექტო ტბორების მომარაგების მიზნით, ასევე გაივლის შპს „ალპედეს“ კუთვნილ ტერიტორიას. აღნიშნული საკითხი

გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში და წარმოდგენილი იყოს მიწის ნაკვეთის მფლობელთან შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- გზშ-ის ანგარიშს დართულ ზდჩ-ის ნორმების პროექტში დამტკიცებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზ.დ.ჩ.) ნორმების ცხრილში მოცემული ზდკ-ის მაჩვენებლები არ შეესაბამება ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების გაანგარიშებისას გამოყენებულ მაჩვენებლებს;
- დოკუმენტში არ არის დასაბუთებული ჩამდინარე წყლისთვის დადგენილი და ზდჩ ნორმების ანგარიშში გამოყენებული ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის მაჩვენებელი;

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით შესწორებული გზშ-ის ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე